სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
010.040.040.12.201.004.656

# საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბრძანება №2

2001 წლის 15 თებერვალი

ქ. თბილისი

## სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ

„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-15 მუხლების საფუძველზე, დამტკიცდეს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ თანდართული დებულება.

ზ. გაიპარაშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 20 მარტის ბრძანება №3/60-სსმIII, №42, 30.03.2006წ.; მუხ.480
2. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686
3. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 აპრილის ბრძანება №01/236, ვებგვერდი - 15.04.2013წ.
4. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 2 მაისის ბრძანება №01/285, ვებგვერდი - 08.05.2013წ.
5. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01/379, ვებგვერდი - 02.07.2013წ.
6. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ

### I. ზოგადი დებულება

1. საქართველოში სახელმწიფოებრივი ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებელი კონკურსი

ბავშვებსა და ახალგაზრდებზე, აგრეთვე მათ კავშირებზე სახელმწიფო ზრუნვის გამოხატულებაა და წარმოადგენს სტიმულირების ფორმას კავშირების წევრთა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.*

2. სახელმწიფოს მიერ ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების დაფინანსება – ეს არის საქართველოს ხელისუფლების მიერ ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ფინანსური სახსრების გადაცემა, „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.*

## II. კონკურსში მონაწილენი

3. სახელმწიფოებრივი ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების დაფინანსების მისაღებად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირებს.

*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 20 მარტის ბრძანება №3/60-სსმIII, №42, 30.03.2006წ.; მუხ.480*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 2 მაისის ბრძანება №01/285, ვებგვერდი - 08.05.2013წ.*

## III. კონკურსის ჩატარების ვადები, წესები და პირობები

4. წარმოდგენილი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

5. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან ფინანსური მხარდაჭერისთვის მიღებული თანხა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ პროგრამების პროექტში განსაზღვრული მიზნებისათვის.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.*

6. კონკურსი ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686*

## IV. სახელმწიფოებრივი ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტების წარდგენისა და შერჩევის წესი

7. პროგრამების პროექტების წარდგენის ვადებს აწესებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სამინისტროს სათათბიროსთან ერთად.

*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 20 მარტის ბრძანება №3/60-სსმIII, №42, 30.03.2006წ.; მუხ.480*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686*

7[1]. ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირს უფლება აქვს ყოველ კონკურსში დასაფინანსებლად წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 2 მაისის ბრძანება №01/285, ვებგვერდი - 08.05.2013წ.*

8. პროგრამების პროექტში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) პროექტის განმახორციელებელი პირების (პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი) შესახებ მონაცემები (cv);

ბ) პრობლემის განსაზღვრა;

გ) პროექტის მიზანი;

დ) მოსალოდნელი შედეგები;

ე) ზუსტად ფორმულირებული და დაანგარიშებული ბიუჯეტი;

ვ) დროში ეტაპობრივად გაწერილი სამუშაო გრაფიკი;

ზ) პროექტის შესახებ არანაკლებ ერთი სარეკომენდაციო წერილი;

თ) მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით:

თ.ა) ორგანიზაციის სახელწოდება;

თ.ბ) ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

თ.გ) ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01/379, ვებგვერდი - 02.07.2013წ.*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.*

8[1]. ამ დებულების მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის სრულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ორგანიზაციის საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 28 ივნისის ბრძანება №01/379, ვებგვერდი - 02.07.2013წ.*

9. ზემოჩამოთვლილი პირობებისა და გამოყოფილი სახსრების გათვალისწინებით პროგრამების პროექტებს კონკურსის წესით განიხილავს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო.

*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 20 მარტის ბრძანება №3/60-სსმIII, №42, 30.03.2006წ.; მუხ.480*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686*

10. ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროგრამების პროექტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კონკურსის საფუძველზე, წყვეტს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო.

*საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 20 მარტის ბრძანება №3/60-სსმIII, №42, 30.03.2006წ.; მუხ.480*

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №41-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1686*

10[1]. პროექტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე სათათბიროს უფლება აქვს, რომ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საშუალებით პროექტის წარმომდგენ ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირს მიმართოს რეკომენდაციით წარმოდგენილი პროექტის ფინანსურ პარამეტრებში კორექტივების შეტანისა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე დამატებით წარმოდგენის თაობაზე, თუ მოცემული პროექტის შინაარსობრივი ნაწილი შეესაბამება სათათბიროს მიერ განსაზღვრულ დასაფინანსებელ პრიორიტეტებს და ამ მხრივ მიზანშეწონილია მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა.

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 12 აპრილის ბრძანება №01/236, ვებგვერდი - 15.04.2013წ.*

11. კონკურსზე გამარჯვებულ ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისა და პროექტების დაფინანსებას ახორციელებს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. კავშირი მიღებული სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშვალდებულია ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.

13. (ამოღებულია - 09.02.2016; №01/167).

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.*

14. (ამოღებულია - 09.02.2016; №01/167).

*საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/167 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.*